საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

წესდება

თავი I

ზოგადი დებულებები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება, რომელიც არის მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი უძველესი ქართული განათლებისა და სულიერების კერების – გელათისა და იყალთოს აკადემიებისა. იგი არის საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფლებამონაცვლეს, რომლის წევრები არიან აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, საპატიო აკადემიკოსები და აკადემიის უცხოელი წევრები.
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით.
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ამტკიცებს თავის წესდებას, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.

თავი II

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნებია:

ა) საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება და ხელშეწყობა;

გ) სახელმწიფო ენებზე ზრუნვა და ამ ენებზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფა;

დ) ქვეყანაში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება. მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მთავრობაში წარდგენა;

ე) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების ექსპერტიზა;

ვ) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და საქართველოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა.

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევით და ექსპერტული ხასიათის საქმიანობას, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში ქმნის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს;

ბ) განიხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს;

გ) ატარებს სამეცნიერო კვლევების ექსპერტიზას, აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;

დ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

ე) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო ლექციებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ვ) აარსებს და ანიჭებს პრემიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაოების წარმოსაჩენად;

ვ1) აწესებს სტიპენდიებს და წარმატებულ მეცნიერებს, რომლებიც აკადემიის წევრები არ არიან, ირჩევს აკადემიის სტიპენდიატებად;

ზ) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან;

თ) კოორდინაციას უწევს სამეცნიერო დაწესებულებების კვლევით საქმიანობას;

ი) ქმნის კომისიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში;

კ) უფლებამოსილი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ინახავს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა პირად არქივებს, რომლებიც ფასეულია საქართველოს ისტორიისათვის;

ლ) დარგების მიხედვით ანიჭებს წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ტიტულს და გასცემს ჯილდოებს;

მ) ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ სხვა, მათ შორის დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები და აკადემიის სტიპენდიატები

1. აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) საერთო რაოდენობა სამოცდაათს არ უნდა აღემატებოდეს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა რაოდენობა - ოცდაათს, ხოლო სტიპენდიატთა რაოდენობა - ათს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართ-

ველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად შეიძლება აირჩეს საქართველოსმოქალაქე, საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს მეცნიერების ან/და კულტურის განვითარებაში.
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად შეიძლება აირჩეს გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე – უცხო ქვეყნის მოქალაქე.
5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად შეიძლება აირჩეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია.
6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომლის ასაკი 50 წელს აღემატება. იგი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და

მოღვაწეობდეს საქართველოში. პირი აკადემიის სტიპენდიატად აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის აკადემიის სტიპენდიატად არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

7. ამოღებულია.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

თავი IV

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვის პრინციპები და მართვის ორგანოები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვა ხორციელდება არჩევითობის, დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მართავენ:

ა) აკადემიის საერთო კრება

ბ) აკადემიის პრეზიდიუმი

გ) აკადემიის პრეზიდენტი

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისა და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობებია.
4. ძალადაკარგულია

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2018 წლის 5 ივნისის N 12 დადგენილება).

თავი V

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოა აკადემიის საერთო კრება, რომლის მუშაობაში ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) და აკადემიის წევრ- კორესპონდენტები, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით – საპატიო აკადემიკოსები, საქართველოში მყოფი აკადემიის უცხოელი წევრები და აკადემიის სტიპენდიატები.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება:

ა) ამტკიცებს აკადემიის წესდებასა და აკადემიის სტრუქტურას აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების სიითი შემადგენლობის (შემდგომ – სიითი შემადგენლობის) უმრავლესობით;

ბ) განსაზღვრავს აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

გ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრებისაგან (აკადემიკოსებისაგან) ირჩევს აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა (შემდგომ – განყოფილება) აკადემიკოს-მდივნებს და აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრებს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ხუთი წლის ვადით;

დ) ვადამდე გამოიწვევს აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის 3/5-ით;

ე) იხილავს და ამტკიცებს აკადემიის წლიურ ანგარიშს და წარადგენს დასაბუთებულ მოთხოვნას მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსებაზე;

ვ) ირჩევს აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს), წევრ-კორესპონდენტებს, საპატიო აკადემიკოსებს, აკადემიის უცხოელ წევრებსა და აკადემიის სტიპენდიატებს;

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

ზ) იხილავს სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც. საერთო კრების მოწვევა სავალდებულოა, თუკი ამას ითხოვს ხმის უფლების მქონე წევრთა ერთი მესამედი მაინც.

4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი მეხუთედი.

5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის პრეზი-დენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი

უნდა გადაწყდეს კვალიფიციური უმრავლესობით (სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედისა).

თავი VI
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი შედგება აკადემიის პრეზიდენტისაგან, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისაგან, აკადემიის აკადემიკოს-მდივნისაგან, განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებისაგან და აკადემიის საერთო კრების მიერ განსაზღვრული სხვა წევრებისაგან, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2023 წლის 18 ივლისის N13 დადგენილება).

აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრების შერჩევისა და არჩევის წესი რეგულირდება ამ წესდებითა და საერთო კრების მიერ დამტკიცებული დროებითი დებულებით.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი ასრულებს აკადემიის საერთო კრების დადგენილებებს და აკადემიის საერთო კრებებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობს აკადემიის საქმიანობას.
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია აკადემიის საერთო კრების წინაშე.
4. აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს შორის მოვალეობებსა და ფუნქციებს აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან შეთანხმებით ანაწილებს აკადემიის პრეზიდენტი და ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმი.

5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო კომიტეტები, კომისიები და სამეცნიერო საზოგადოებები.

6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი:

ა) ამყარებს სამეცნიერო კონტაქტებს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიებთან და უცხოეთის მეცნიერებათა აკადემიებთან, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ბ) იწვევს სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს, თათბირებსა და სიმპოზიუმებს; ანიჭებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელობით პრემიებს მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომებისათვის და გამოგონებებისათვის, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიებს ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის;

გ) წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის წლიურ ანგარიშს აკადემიის საერთო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად;

დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე შეფასებას აძლევს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. თავის მოსაზრებებს აცნობს ამ ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მეცნიერების განვითარების ფონდებს;

ე) ამტკიცებს აკადემიასთან არსებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

ვ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიასთან არსებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;

ზ) ამტკიცებს აკადემიის პერიოდულ გამოცემათა სარედაქციო კოლეგიებისა და საბჭოების შემადგენლობებსა და დებულებებს;

თ) ამტკიცებს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულებას;

ი) ამტკიცებს სამეცნიერო განყოფილების საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრით არჩეულ განყოფილების სწავლულ მდივანს.

7. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი; ადმინისტრაციული აპარატის დებულებას და შინაგანაწესს ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმი.

თავი VII
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი არის აკადემიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი პასუხს აგებს აკადემიის საქმიანობის წარმართვაზე. აკადემიის პრეზიდენტი იმავდროულად არის აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

2. აკადემიის პრეზიდენტს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან (აკადემიკოსთაგან) ირჩევს აკადემიის საერთო კრება, 5 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის აკადემიის პრეზიდენტად არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ აკადემიის პრეზიდიუმს, განყოფილებებს, აკადემიის წევრთა ჯგუფებსა და ცალკეულ წევრებს.
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

ა) წარუდგენს საერთო კრებას აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნობის და პრეზიდიუმის სხვა წევრობის კანდიდატებს;

ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის საერთო კრებებსა და პრეზიდიუმის სხდომებს;

გ) განკარგავს აკადემიის ფინანსებს.

თავი VIII

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურა

1. აკადემიის სტრუქტურას განსაზღვრავს აკადემიის პრეზიდიუმი და ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება.
2. აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია განყოფილება, რომელიც აერთიანებს შესაბამისი სამეცნიერო პროფილის აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს),

აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს და აკადემიის სტიპენ-დიატებს. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

3. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თხოვნისა და საქარ-თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუ-მის თანხმობის შემთხვევაში ამ სამეცნიერო დაწესებულების აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ფორმით ჩამოყალი-ბება შესაძლებელია, თუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მისთვის ქონების გადაცემის შესახებ.
4. განყოფილებებისა და აკადემიის სხვა სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებანი, აგრეთვე მათი ხელმძღვანელების არჩევისა და დანიშვნის წესი განისაზ-ღვრება ამავე წესდებით, აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებებითა და აკადემიის შინაგანაწესით.

თავი IX

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილება

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძირითადი სამეცნიერო-ორგანიზაციული ერთეულია განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

განყოფილება საქმიანობას წარმართავს აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით.

2. განყოფილების უმაღლესი ორგანოა განყოფილების საერთო კრება.

3. განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით შეარჩევს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან განყოფილების აკადემიკოს-მდივნის კანდიდატურას, რომელსაც წარუ-დგენს აკადემიის საერთო კრებას ასარჩევად.

   განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით ირჩევს განყოფილების სწავლულ მდივანს ხუთი წლით ვადით.

4. განყოფილება აყალიბებს მეცნიერების და ტექნოლოგიების დარგობრივ კომისიებს (შემდგომში დარგობრივ კომისი-ებს) და განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით ირჩევს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებს აკადემიის წევრთაგან.

5. განყოფილება:

ა) ისმენს და ამტკიცებს განყოფილების მუშაობის ანგარიშს;

ბ) იხილავს მეცნიერების შესაბამისი დარგების პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების საკითხებს და სათანადო წინადადებებს წარუდგენს აკადემიის პრეზიდიუმს;

გ) ექსპერტიზას უწევს საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის წლიურ სამეცნიერო ანგარიშებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს აკადემიის პრეზიდიუმს;

დ) კოორდინაციას უწევს შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას;

ე) აყალიბებს საექსპერტო კომისიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელობითი პრემიების მისანიჭებლად;

ვ) წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს წინადადებებს სახელობითი პრემიების მინიჭების თაობაზე. აკადემიის პრეზიდიუმის სათანადო გადაწყვეტილების შემთხვევაში აყალიბებს საექსპერტო კომისიებს შემოსული განცხადებების განსახილველად;

ზ) კოორდინირებას უწევს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების მისანიჭებლად შექმნილი საექსპერტო კომისიების საქმიანობას, იხილავს მათი მუშაობის შედეგებს და განყოფილების საერთო კრებაზე განხილულ მასალებს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის პრეზიდიუმს;

თ) იხილავს სამეცნიერო სესიების, კონფერენციებისა და თათბირების მოწყობის საკითხებს და სათანადო წინადადებებს წარუდგენს აკადემიის პრეზიდიუმს;

ი) შეარჩევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობისა (აკადემიკოსობისა) და სტიპენდია-ტობის კანდიდატებს.

6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილებას და არის განყოფილების სრულუფლებიანი წარმომადგენელი აკადემიის პრეზი-დიუმში;

ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს განყოფილების საერთო კრებას.

7. განყოფილების დარგობრივი კომისიების მიზნებია:

ა) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოპოვებული საერთაშორისო დონის შედეგების გაანალიზება, რეკომენდაციების შემუშავება და მათი წარდგენა განყოფილების სხდომაზე განსახილველად;

ბ) საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების წლიური ანგარიშებისა და ცალკეული სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნის წარდგენა განყოფილების სხდომაზე განსახილველად;

გ) დარგების მიხედვით წლის საუკეთესო კვლევითი ჯგუფების გამოვლენა და სათანადო წინადადებების წარდგენა განყოფილების სხდომაზე განსახილველად; საუკეთესო კვლევითი კოლექტივის შერჩევა ხდება განყოფილების მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

თავი X

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის), წევრ-კორესპონდენტის, საპატიო აკადემიკოსის, აკადემიის უცხოელი წევრისა და აკადემიის სტიპენდიატის არჩევა

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, (აკადემიკოსის), აკადემიის წევრ-კორესპონდენტისა და სტიპენდიატის არჩევნები ტარდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით განსაზღვრული წესით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა), აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა და აკადემიის სტიპენდიატთა არჩევნები ცხადდება არსებულ ვაკანსიებზე, პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული სპეციალობების მიხედვით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

3. აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობისა და სტიპენდიატობის კანდიდატთა საბუთების მიღების ვადებსა და კანდიდატთა შესახებ წარმოსადგენი მასალების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა), აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება არჩევნებამდე არაუგვიანეს სამი თვისა პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე (science.org.ge).

   საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება სტიპენდიატთა არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება არჩევნებამდე არაუგვიანეს ორი თვისა პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე (science.org.ge).

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს), სამეცნიერო

დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობისა და სტიპენდიანტობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, სტიპენდიატობის კანდიდატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოხსნას თავისი კანდიდატურა.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

6. აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობი, სტიპენდიატობის კანდიდატის საბუთების მიღებას ახორციელებს აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტი (შემდგომში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი), ხოლო რეგისტრირებას – აკადემიის კანცელარია.

მიღებულ საბუთებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი წერილობით (ელ. ფოსტა) ატყობინებს წარმომდგენს აღნიშნულის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს სამ სამუშაო დღეს. თუ კანდიდატი დადგენილ ვადაში ვერ შეძლებს ხარვეზის აღმოფხვრას, მისი არჩევის საკითხი აღარ განიხილება.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

7. არჩევნებში მონაწილეთა საბუთების მიღების ვადის დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი პრეზიდიუმს მოახსენებს ინფორმაციას, წარმოდგენილ კანდიდატთა შესახებ, ხოლო რეგისტრირებულ კანდიდატთა საბუთებს წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამის სამეცნიერო განყოფილებებს განსახილველად.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

8. რეგისტრირებულ კანდიდატთა სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი მასალები (CV) და პუბლიკაციათა სია განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე (science.org.ge).
9. არჩევნებში მონაწილე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის), წევრ-კორესპონდენტობის რეგისტრირებულ კანდიდატთა სია ქვეყნდება პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე (science. org.ge) არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

არჩევნებში მონაწილე სტიპენდიატობის რეგისტრირებულ კანდიდატთა სია, ქვეყნდება პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე (science.org.ge) არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს ოცი დღისა.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

10. განყოფილების საერთო კრებაზე აკადემიკოსობის კანდიდატთა შერჩევისას, აგრეთვე აკადემიის საერთო კრებაზე - არჩევისას ხმის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები).

განყოფილების საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტობის კანდიდატთა შერჩევისას, აგრეთვე აკადემიის
საერთო კრებაზე - არჩევისას ხმის უფლებით სარგებლობენ
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდ-
ვილი წევრები (აკადემიკოსები) და წევრ-კორესპონდენტები.

სტიპენდიატობის კანდიდატთა შერჩევისას განყოფილებათა
საერთო კრებაზე, აგრეთვე, აკადემიის საერთო კრებაზე მათი
არჩევისას ხმის უფლებით სარგებლობენ საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და
წევრ-კორესპონდენტები.

შენიშვნა: *თანასწორუფლებიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებიდან გამომდინარე კენჭისყრაში მონაწილეობა ეკრძალება იმ აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს, რომელიც არის გამოცხადებულ ვაკანსიაზე რეგისტრირებული კანდიდატის ოჯახის წევრი, ნათესავი.*

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

11. განყოფილებისა და აკადემიის საერთო კრებაზე აკადემი-
კოსობის, წევრ-კორესპონდენტობისა და სტიპენდიატობის
კანდიდატთა შერჩევა/არჩვა ხდება ფარული კენჭისყრით.

აკადემიკოსებსა და წევრ-კორესპონდენტებს შეუძლიათ შერ-
ჩევა/არჩევის დროს ხმა მისცენ ერთ ან რამდენიმე
კანდიდატს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

12.აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა), წევრ-კორეს-
პონდენტთა და სტიპენდიატთა არჩევნებში მონაწილე კან-
დიდატთა სიის გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში აკა-
დემიის პრეზიდიუმი ამტკიცებს განყოფილებათა საექს-
პერტო კომისიებს დარგების მიხედვით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

13. საექსპერტო კომისია განიხილავს რეგისტრირებულ კანდიდატზე შესაბამისი განყოფილების მიერ წარმოდგენილ მასალებს და ატარებს ფარულ კენჭისყრას გამოცხადებულ ვაკანსიაზე კანდიდატისთვის შესაბამისი რეკომენდაციის მისაცემად.

14. საექსპერტო კომისიის კენჭისყრის შედეგები უნდა ეცნობოს განყოფილების საერთო კრებას აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობისა და სტიპენდიატობის კანდიდატთა შერჩევის წინ.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

15. აკადემიაში მიმდინარე არჩევნებისას, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდიუმის სათანადო დადგენილებით ცალკეულ განყოფილებებს შეუძლია ჩაატარონ გაერთიანებული კრება, ამ განყოფილებებისათვის გამოყოფილი ყველა ვაკანსიის დასაკავებლად. განყოფილების შეერთება სხვა განყოფილებასთან მოხდება პრეზიდიუმის დადგენილებით, განყოფილებათა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, თუ განყოფილებაში ხმის უფლების მქონე წევრთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

16. არჩევნებამდე აკადემიის სამეცნიერო განყოფილება მოისმენს აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობისა და სტიპენდიატობის კანდიდატთა მოხსენებებს სამეცნიერო

მოღვაწეობის შესახებ. აკადემიის წევრებს (და სხვა დაინ-ტერესებულ პირებს) უფლება აქვთ დაესწრონ განყოფი-ლებაში მიმდინარე მოსმენებს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

17. ამოღებულია.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

18. განყოფილების საერთო კრება უფლებამოსილია მოაწყოს აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდი-დატთა შერჩევა, თუ შერჩევაში მონაწილეობს განყოფილების ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი (სადაც ჩაითვლებიან ხმის უფლების მქონე ის აკადემიის წევრებიც, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატის შერჩევას ბინაზე უყრიან კენჭს).

განყოფილების საერთო კრება უფლებამოსილია მოაწყოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა შერჩევა, თუ შერჩევაში მონაწილეობს განყოფილების ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი (სადაც ჩაითვლებიან ხმის უფლების მქონე ის აკადემიის წევრებიც, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატის შერჩევას ბინაზე უყრიან კენჭს).

განყოფილების საერთო კრება უფლებამოსილია მოაწყოს სტიპენდიატობის კანდიდატთა შერჩევა, თუ შერჩევაში მონაწილეობს ამ განყოფილების აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა სიითი შემად-გენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი (სადაც ჩაითვლებიან

ხმის უფლების მქონე ის აკადემიის წევრებიც, რომლებიც სტიპენდიატობის კანდიდატის შერჩევას ბინაზე უყრიან კენჭს).

ხმის უფლების მქონე იმ წევრთათვის, ვინც კანდიდატის შერჩევას ბინაზე უყრის კენჭს, აგრეთვე უცხოეთში მყოფი აკადემიის წევრებისთვის დასაშვებია სხდომის მუშაობაში (და არა ფარულ კენჭისყრაში) დისტანციური მონაწილეობა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

19. განყოფილების საერთო კრებაზე აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, ან სტიპენდიატობის კანდიდატად შერჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც კენჭისყრისას დააგროვებენ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ ხმების არანაკლებ სამ მეხუთედს.

თუ აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, ან სტიპენდიატობის ორმა ან მეტმა კანდიდატმა მიიღო ხმების გამსვლელი (3/5 ან მეტი) რაოდენობა, შერჩეულად ჩაითვლება ის პირი, რომელმაც დააგროვა ყველაზე მეტი ხმა.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

20. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული და აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის ან სტიპენდიატობის რამდენიმე კანდიდატმა დააგროვა ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი (მაგრამ 3/5-ზე ნაკლები) ხმა, ამ კანდიდატებისთვის ტარდება კენჭისყრის მეორე ტური, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ მეორე ტურის შემდეგაც

ვერ მიიღეს შერჩევისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა (3/5 ან მეტი), ვაკანსია ჩაითვლება გაუქმებულად.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

21. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ერთ ვაკანსიაზე აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, ან სტიპენდიატობის ორმა ან მეტმა კანდიდატმა მიიღო გამსვლელი ხმების (3/5 ან მეტი) თანაბარი რაოდენობა, მათთვის ტარდება კენჭისყრის მეორე ტური, თუ მეორე ტურში ვერც ერთმა ვეღარ მიიღო გამსვლელი ხმები, ვაკანსია ჩაითვლება გაუქმებულად. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატებმა მეორე ტურში კვლავ მიიღეს გამსვლელი ხმების (3/5 ან მეტი) თანაბარი რაოდენობა, ჩატარდება კენჭისყრის მესამე ტური. თუ მესამე ტურის შემდეგაც ერთ ვაკანსიაზე შერჩეულია აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, ან სტიპენდიატობის ორი ან მეტი კანდიდატი, გამსვლელი ხმების თანაბარი რაოდენობით, მათი არჩევის საკითხს გადაწყვეტს აკადემიის საერთო კრება.

საერთო კრებაზე არჩეულად ჩაითვლება აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, ან სტიპენდიატობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

აკადემიის საერთო კრებაზე კანდიდატთა მიერ გამსვლელი ხმების ტოლი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ვაკანსია ჩაითვლება გაუქმებულად.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

22. აკადემიის წევრთა სიით შემადგენლობას (სადაც ჩაითვლებიან ხმის უფლების მქონე წევრებიც, რომლებიც ბინაზე უყრიან კენჭს) ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

23. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს), წევრ-კორესპონდენტს, ან აკადემიის სტიპენდიატს, რომლებიც შეირჩევიან სამეცნიერო განყოფილებათა საერთო კრების მიერ, ირჩევს აკადემიის საერთო კრება.

ხმის უფლების მქონე იმ წევრთათვის, ვინც კანდიდატის არჩევას ბინაზე უყრის კენჭს, აგრეთვე, უცხოეთში მყოფი აკადემიის წევრებისთვის დასაშვებია სხდომის მუშაობაში (და არა ფარულ კენჭისყრაში) დისტანციური მონაწილეობა, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

24. აკადემიკოსად, წევრ-კორესპონდენტად, ან სტიპენდიატად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც აკადემიის საერთო კრებაზე მიიღებს ხმის უფლების მქონე წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ ხმების არანაკლებ სამ მეხუთედს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

25. აკადემიის განყოფილების საერთო კრებაზე და აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიკოსთა არჩევისას აკადემიის ნამდვილ წევრთაგან ირჩევენ ხმის დამთვლელ კომისიებს.

აკადემიის განყოფილების საერთო კრებაზე და აკადემიის საერთო კრებაზე წევრ-კორესპონდენტთა და სტიპენდიატთა არჩევისას აკადემიის ნამდვილ წევრთაგან და წევრ-კორესპონდენტთაგან ირჩევენ ხმის დამთვლელ კომისიებს.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

26. აკადემიის განყოფილებათა საერთო კრებებსა და აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში კანდიდატის გვარის გასწვრივ არის სიტყვები „თანახმა ვარ“ და „წინააღმდეგი ვარ“, რომელთაგან კენჭისყრაში მონაწილე ხაზს გადაუსვამს ერთ-ერთს. ბიულეტენი ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე და ბიულეტენი, რომელშიც წაშლილია ან დატოვებულია ორივე სიტყვა „თანახმა ვარ“ და „წინააღმდეგი ვარ“ კონკრეტული კანდიდატის მიმართ ჩაითვლება გაუქმებულად.

27. განყოფილებისა და აკადემიის საერთო კრებაზე საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას დაუშვებელია სხვა პირის დასწრება გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, ამ დროს მას უფლება აქვს დასახმარებლად მოიწვიოს ნებისმიერი პირი, მაგრამ არა ხმის დამთვლელი კომისიის წევრი და აკადემიკოსობის, წევრ-კორესპონდენტობის, სტიპენდიატობის კანდიდატი.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

28. განყოფილებათა საერთო კრებებზე და აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის ბიულეტენის მიღება დასტურდება ბიულეტენის მიღების სიაში ხელმოწერით.

29. თუ კენჭისყრაში მონაწილეს უნებურად გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, იგი აბარებს მას ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ბიულეტენს დააწერს „გაფუჭებულია“, ჩამოაჭრის კუთხეს და ცალკე შეინახავს, ხოლო ამომრჩეველს გადასცემს ახალ ბიულეტენს.

30. ფარული კენჭისყრა ტარდება აკადემიის შენობაში, არჩევნებისათვის განკუთვნილ ოთახში, სადაც დგას დალუქული ყუთი და იმყოფებიან მხოლოდ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები.

31. ბინაზე ხმის მიცემის აუცილებლობის შემთხვევაში, ხმის დამთვლელი კომისია გამოყოფს კომისიის წევრთაგან ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს ბინაზე კენჭისყრას. ბინიდან მოტანილი კენჭისყრის ყუთი იხსნება ძირითადი კენჭისყრის ყუთთან ერთად და მიმდინარეობს ხმების საერთო დათვლა.

32. განყოფილების ხმის დამთვლელი კომისიის ოქმებს ამტკიცებს განყოფილების საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

33. აკადემიის საერთო კრების ხმის დამთვლელი კომისიის ოქმებს ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

34. ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები, ფარული კენჭისყრის ბიულეტენებთან ერთად ინახება დალუქული კონვერტით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

35. არჩევნების შედეგები ქვეყნდება პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე (science.org.ge).

36. არჩეული აკადემიკოსი, წევრ-კორესპონდენტი არის შესაბამისი განყოფილების წევრი აკადემიის საერთო კრების მიერ მისი არჩევის დღიდან და სარგებლობს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებული უფლებებით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

37. არჩეული სტიპენდიატი ითვლება შესაბამისი განყოფილების სტიპენდიატად აკადემიის საერთო კრების მიერ მისი არჩევის დღიდან და სარგებლობს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებული უფლებებით.

38. საპატიო აკადემიკოსად და აკადემიის უცხოელ წევრად ასარჩევ კანდიდატებს შესაბამისი პროფილის განყოფილების რეკომენდაციით, პრეზიდიუმზე განხილვის შემდეგ საერთო კრების წინაშე წარადგენს აკადემიის პრეზიდენტი.

39. საპატიო აკადემიკოსს და აკადემიის უცხოელ წევრს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება ირჩევს ღია კენჭისყრით.

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2021 წლის 24 დეკემბრის N 11 დადგენილება)

(ცვლილება: აკადემიის საერთო კრების 2024 წლის 10 ივლისის N 2 დადგენილება).

თავი XI

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და წევრ–კორესპონდენტის სტატუსი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი შეიძლება ხელმძღვანელობდეს უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემის კვლევას ან მონაწილეობდეს მის შესრულებაში.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები არიან საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი განყოფილების წევრები; მათ შეუძლიათ გადავიდნენ ერთი განყოფილებიდან მეორეში იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს მეორე განყოფილების წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. ერთ განყოფილებაში შემავალ აკადემიკოსსა თუ წევრ-კორესპონდენტს, მეორე განყოფილების წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მეორე განყოფილების მუშაობაში და ისარგებლოს ამ განყოფილების წევრის ყველა უფლებით, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთა და სტიპენდიატთა შერჩევისას ხმის უფლებით.
4. აკადემიის წევრს უფლება აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში და იმ განყოფილებაში, რომელშიც იგი შედის, განსახილველად შეიტანოს სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები, აგრეთვე გამოიტანოს ასეთი საკითხები აკადემიის საერთო კრებაზე განსახილველად.
5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, დარგობრივ კომისიაზე განხილვის შემდეგ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამის განყოფილებას ყოველ-წლიურად წარუდგენს ანგარიშს სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

თავი XII

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის), აკადემიის წევრ – კორესპონდენტისა და აკადემიის სტიპენდიატის ანაზღაურება

1. აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს) ენიშნება ანაზღაურება მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვეში არანაკლებ 1600 ლარის ოდენობით.
2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ენიშნება ანაზღაურება მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.
3. აკადემიის სტიპენდიატს ენიშნება სტიპენდია თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.
4. ამ თავის პირველი − მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა, მათი სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.
5. აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს) და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ამ თავის პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ანაზღაურება შეუწყდებათ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.
6. აკადემიის სტიპენდიატს ამ თავის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სტიპენდია შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ან საქართველოში სამეცნიერო მოღვაწეობის შეწყვეტის შემთხვევაში.

7. ამ თავის პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ანაზღაურება არის აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სამეცნიერო სტატუსების შესაბამისი ანაზღაურება.

თავი XIII

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქონება

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობს შესაბამისი ქონებით, რომელიც მას გადმოცემული აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XIV

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსება

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აკადემიისათვის გამოყოფილი სახსრები ცალკე აისახება კანონში „საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსების დამატებითი წყაროებია:

ა) სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი სახელმწიფო და კერძო, მათ შორის, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ფონდები;

ბ) გრანტები და ხელშეკრულებების შესრულებით მიღებული შემოსავლები;

გ) სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობის რეალიზაციიდან შემოსავლები (მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული);

დ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ე) აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული სხვა, მათ შორის, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

თავი XV

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

1. აკადემიის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XVI

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების შეცვლის წესი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების შეცვლა ხდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ხმა უნდა მისცეს აკადემიის წევრთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამმა მეხუთედმა.

თავი XVII

გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოქმედ პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებსა და აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ არჩევის ვადის გასვლისთანავე.
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს აკადემიის სტიპენდიატთა პირველი არჩევნების ჩატარება.
3. ეს წესდება, გარდა მე-12 თავის მე-3 მუხლისა, ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.
4. ამ წესდების მე-12 თავის მე-3 მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

თბილისი,
2016 წლის 12 სექტემბერი, № 9